

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

შ რ ო მ ე ბ ი

Т Р У Д Ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
ИМЕНИ С Т А Л И Н А

TRAVAUX

DE L'UNIVERSITÉ
STALINE
à TBILISSI (Tiflis)

XVIII

ილ. აბულაძე

ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი

ქართული ბიბლიის, კერძოდ ძველი აღთქმის წიგნების, სრული ხელნაწერი კრებული მხოლოდ 978 წლისა გვაქვს. იგი ათონს ინახება, რის გამო მას ათონის ან ათონურ ბიბლიას უწოდებენ; გადაწერილია იგი ოშკს, რისთვისაც ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურაში ოშკისა ანუ ოშკურ ბიბლიასაც ეძახიან. ნაწერია ნუსხა-ხუცურად. ტექსტი თავებად არის დაყოფილი, ხოლო მუხლებად კი არა¹.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში „დავითნს“ ანუ „ფსალმუნთა წიგნს“, რომელიც ბიბლიის გარეშეც გვხვდება და ისიც ზემოხსენებულ თარიღიან ბიბლიის ხელნაწერზე აღრინდელიც, სხვა წიგნებიდან ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე უძველესი ფრაგმენტია ცნობილი. ისინი მოიპოვა ახლახან განსვენებულმა აკად. ივ. ჯავახიშვილმა 1923 წ., როდესაც მას წილად ხედა ხანმეტი ტექსტების აღმოჩენა, რამაც, როგორც აღნიშნავენ, მთელი ეპოქა შექმნა ქართული ენის ისტორიის შესწავლის საქმეში. ეს ფრაგმენტები ბიბლიის შემდეგი წიგნებიდანაა: „შექმნათა“ (IX 11—14; 17—19; XVIII 2—3); „იგავნი სოლომონისნი“ (IX 1—4) და „წინასწარმეტყველება იერემიასი“ (XVII 26—27; XVIII 2—8)².

ბიბლიის ძველ ფრაგმენტებს იცნობენ აკად. ნ. მარი და პროფ. მ. ჯანაშვილი. აკად. ნ. მარმა მის მიერ ეჩმიადინის ხელნაწერთა შორის მიკვლეული ფრაგმენტი კიდევ გამოაქვეყნა³, მაგრამ მისი ნაწყვეტი⁴ ნუსხური ხელითაა ნაწერი (письмо церковное строчное) და ამიტომ ოშკის ხელნაწერზე აღრინდელი არცაა მოსალოდნელი. აკად. ნ. მარი, მართალია, არ განსაზღვრავს ხანას, როდესაც უნდა აღმოცენებულყო, დაახლოებით მაინც, ეჩმიადინის ფრაგმენტული ხელნაწერი, მაგრამ მას იგი ოშკურთან მიმართებით უფრო გვიანდელად უნდა მიაჩნდეს, რასაც მოწმობს მისი ნაკვლევის ისეთი გა-

¹ ქართული წარსული კულტურისა და ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ამ მეტად საგულისხმო ძეგლს გამოსაცემად ამხადებს აკად. ა. შანიძე.

² ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, ტფილისის უნივერს. მოამბე, II, 1922—1923 წ. გვ. 313—391.

³ Н. Марр. Эчмиадзинский фрагмент древне-грузинской версии Ветхого Завета: „Хр. Восток“ II, 3, 1914, стр. 378—398.

მოთქმა, როგორცაა: „Эчмиадзинский фрагмент (რომელიც ოშკური ევრსიის ხელნაწერთაგანია) иногда дает более архаичные чтения, чем О (ე. ი. ოშკური)“ (გვ. 378).

პროფ. მ. ჯანაშვილის მიერ ნახული ფრაგმენტი (ორი ფურცელი) ნაწერი ყოფილა „ასომთავრულით“. მის ფოტო-ტიპიურ გამოცემასაც ჰპირდებოდა განსვენებული მკითხველებს¹, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, იგი დღემდის გამოქვეყნებული არ უნდა იყოს.

ქართული ძველი ხელნაწერი ბიბლიის რამდენიმე ფურცელი, რომლებიც საფარველ ფურცლებად აღმოაჩნდა საქართველოს მუზეუმის S ფონდის ერთ-ერთ ხელნაწერს—№ 104-ს, რამდენადმე ოშკის ხელნაწერზე უფრო ადრინდელი უნდა იყოს. ეს მოვლენა იმით კი არ მტკიცდება, რომ აღნიშნულ ფურცლებზე რამე თარიღი მოიპოვებოდეს, არამედ ხელით, ნაწერით, ე. ი. პალეოგრაფიული ნიშნებით. ადრინდელობის მაუწყებელი უნდა იყოს, ჩვენი შეხედულებით, დაწერილობის ჯერ თვით სახე,—ტექსტი ასომთავრული (მრგლოვანი) ხუცურითაა ნაწერი,—და მერმე მისი ორთოგრაფია, რომელიც საკმაოდ ძველი ჩანს; ამ მხრივ ის IX საუკუნის სხვა ხელნაწერებს უფრო ემბრობა, ვიდრე მერმინდელთა².

ტექსტი ეტრატზეა ნაწერი. თითოეულ გვერდზე ორ-ორი სვეტია, სვეტში 25 სტრიქონია. აბზაცის დასაწყისი სიტყვის პირველი ნიშანი დიდი ასოთია ხოლმე გამოყვანილი. როდესაც ეტრატი საფარველ ფურცლად უქცევიათ, მისთვის ნაპირი ჩამოუჭრიათ, რადგან საფარველ ხელნაწერთან მიმართებით იგი უფრო განიერი აღმოჩენილა. ამიტომ ეს დიდად საყურადღებო ტექსტი, რომელიც „რიცხვთა“ წიგნის 24,5—25,14 და 26,41—27,18 ადგილებს შეიცავს, ამჟამად დეფექტურადაა შენახული.

ზემოთ ხსენებულ ფრაგმენტებში ჩვენი ტექსტის მსგავსს ვერსად ვხვდებით. დღესდღეობით ცნობილ ბიბლიის ქართულ ნუსხათაგან „რიცხვთა“ წიგნი მხოლოდ „მცხეთის ბიბლიას“ (საქართველოს მუზეუმის A ფონდის № 51 ხელნაწერს) და პირველ ნაბეჭდ ქართულ ბიბლიას მოეპოვება. მათთან შედარებისას³ ჩვენი ტექსტი თითქმის უცვლელად „მცხეთის ბიბლიის“ სათანადო ადგილს შეხვდა.

„მცხეთის ბიბლია“, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანის რედაქტორობის ხელი ატყვია, როგორც უკვე შენიშნულია მკვლევართაგან, ოშკის ბიბლიისაგან განსხვავებულ ვერსიას წარმოადგენს. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში შესული ბიბლიის სიტყვები და ზოგჯერ მათ გვერდით ნაჩვენები ადგილები

¹ მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, წიგნი I: მწერლობა X საუკუნემდე, თბ., 1900 წ., გვ. 191—192.

² აღნიშნულ ფრაგმენტს იცნობს პროფ. რ. ბლექიკი. მას თავის ნაშრომში: „О древне-грузинских версиях В. 3-а“ (ИКОМО, вып. VI, Тб., 1921), აღნიშნული აქვს (გვ. 32, შენ. 48), თითქოს ხსენებული ფრაგმენტი 2 ფურცლისაგან შედგებოდეს (?) და X ს-ისა იყოს.

³ შედარების დროს პირველი ნაბეჭდი ბიბლია ხელთ არ მქონდა, მხოლოდ მისგან გადმობეჭდილი თბილისის გამოცემით (1884 წ.) ვხელმძღვანელობდი.

ნაბეჭდ ქართულ ბიბლიაში ხშირად არც მოიპოვება და მოყვანილი ციტატებიც მრავალ შემთხვევაში არც ხვდება ამ ბიბლიის ტექსტს. ამის გამო ჩვენი მკვლევრები სულხან-საბას ხელთ არსებულად რაღაც მეტად საგულისხმო ბიბლიის ძეგლსა და თავისებურ ტექსტს ვარაუდობდნენ. ეს ტექსტი, როგორც ლექსიკონისა და „მცხეთის ბიბლიის“ შეჯერებით ირკვევა, სხვა არა არის რა, თუ არ ეს უკანასკნელი, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, საბას ხელი ატყვია.

„მცხეთის ბიბლიას“, რომელიც ხელნაწერი და ნაბეჭდი ნაწილებისაგან შედგება (ძველი აღთქმის ნაბეჭდი ნაწილი „წინასწარმეტყველებით“ იწყება), ახლავს სულხან-საბა ორბელიანის მიერ შედგენილი და მისივე ხელით (მხედრულად) გადაწერილი ე. წ. „სიმფონია“. ხსენებული სიმფონია გამეორებულია უცვლელად პირველ ნაბეჭდ ქართულ ბიბლიაშიც (მოსკოვი, 17'3 წ.). შემთხვევა მოგვეცა ერთხელ, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სომხურ წყაროსთან დამოკიდებულების ხასიათის შესწავლის დროს¹, შევხებოდით ამ „სიმფონიასაც“, რომელსაც საბას ორიგინალურ ნაშრომად მიიჩნევდნენ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. საბას „სიმფონია“ სომხურიდან მომდინარე აღმოჩნდა, კერძოდ იმ სომხური ბიბლიიდან, რომელიც ამსტერდამს დაიბეჭდა პირველად, 1669 წელს. ამის შემდეგ ჩვენ საბას მიერ სომხური ბიბლიის გამოყენება „მცხეთის ბიბლიის“ უმთავრესად ტექნიკურად გამართვის მხრით სხვა ნაწილებშიაც შევნიშნეთ. ბიბლიის წიგნების სათაურებში ნახშიარი ებრაული სახელწოდებანი, მუხლებად გაკვეთა და პარალელური ადგილების ჩვენებანი, რომლებიც აშიებზეა ტექსტთან აღნიშნული, ხსენებული სომხური ბიბლიის შესაბამისად არის შესრულებული, მცირეოდენი კორექტივის შეტანით. ასე, მაგ., როცა ბიბლიის რომელიმე წიგნის ამათუიმ თავის ტექსტი სომხურში ზოგჯერ არათანამიმდევრობით არის მუხლებად დაყოფილი, ე. ი. წინაუკმობას აქვს ადგილი დათმობილი იმისათვის, რომ ხელნაწერებით ნაანდერძევი ტექსტი არ გადაელაგებიანთ, საბა ამას არ მისდევს და ტექსტს რიცხვობრივი თანმიმდევრობით ალაგებს².

„მცხეთის ბიბლიას“ ხარვეზებიც მოეპოვება. ეტყობა, სულხან-საბას ხელთ არსებული ძველი ქართული ბიბლიის ნუსხები თუ ნუსხა (რაც ცალკეა შესასწავლი), ამ ადგილებში ნაკლულევანი ყოფილა და რედაქტორს, ახალი ნუსხის მოპოების იმედით, დანაკლისის შესავსებად სათანადო ადგილები გაუშვია.

რაკი ჩვენი ფრაგმენტის დაუზიანებელი ადგილები თითქმის უცვლელად შეხვდა საბას ნარედაქციები ბიბლიის სათანადო ადგილებს, ამის შემდეგ დაზიანებული და ჩამოკჭრილი ადგილების აღსადგენად ჩვენ ეს ბიბლია („მცხეთის ბიბლია“) გამოვიყენეთ. მცირეოდენი წაკითხვა-სხვაობანი, რომლებიც უკანასკნელთან მიმართებით ჩვენს ნაწყვეტს (S=სულხან-საბა) აღმოაჩნდა, შენიშვნებში ჩავიტანეთ (S). რაც სხვაობანი აღმოჩნდა ბაქარის ბიბლიასთან (პირველ ნაბეჭდ ქართულ ბიბლიასთან) შედარებით, აგრეთვე აღვნიშნეთ (B=ბაქარ). ამათი

¹ ილია აბუღაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, ტფილისის სახელ. უნივერსიტეტის შრომები III, გვ. 253—270, 1936 წ.

² ამის მაგალითი, სხვათა შორის, ჩვენი ფრაგმენტის ფარგალშიაკ გვხვდება (ნ. გვ. 158, შენიშვნა). ზოგიერთი კორექტივის შესახებ სომხურთან მიმართებით საბაც უთითებს „მცხეთის ბიბლიის“ სხვადასხვა ადგილს.

გამოკრების დროს მხედველობაში არ მიგვიღია არც ბაქარისა და არც საბაბს ორთოგრაფიული სხვაობანი და საკუთარი სახელების დაწერილობათა ნაირსახეობა. ჩვენი ნაწყვეტის ტექსტი თავებდა და მუხლებად საბას ბიბლიის მიხედვით დაყავით.

მნიშვნელობა ძველი ხელნაწერი ქართული ბიბლიის ახალი რამდენიმე ფურცლის ტექსტისა მეტად დიდია. ჯერ ერთი, იგი მეტად ძველი დროისაა, — უნდა უსწრებდეს ჩვენამდის მოღწეულ ბიბლიის წიგნთა თარიღიან კრებულს, ე. წ. ოშკურს (978 წლ.). მეორე: ხსენებული ფურცლები ბიბლიიდანაა და არა რომელიმე გამოკრებილი საკითხავების წიგნიდან. ასეთი რომ ყოფილიყო, ამოდენა ტექსტის მანძილზე სადმე აღნიშნული იქნებოდა საკითხავის რიგი ან სათვალავი. ის თავებად (და მუხლებად) დაუყოფელი ბიბლიის „რიცხვთა“ წიგნის ნაწილია. მთავარი მაინც ისაა, რომ საბას, როგორც ეს სხვებსაც შენიშნული ჰქონდათ, ხელთ ჰქონია ქართული ბიბლიის მართლაც ისეთი ვერსია, როგორიც ჩვენი ნაწყვეტია.

ამათ ვარდა აღსანიშნავია ისიც, რომ ბაქარის ბიბლიასთან მიმართებით ჩვენი ფრაგმენტის ტექსტი უთუოდ ცალკე ვერსიას წარმოადგენს, მაგრამ იმის დადგენა, იჩენდა თუ არა ის ასეთსავე თავისებურებას მის გვერდით ძველად არსებული ბიბლიის სხვა ნუსხებთან მიმართებით, ძნელია, რადგან მოღწეულ ძველ ნუსხათაგანს, ოშკურს, ეს წიგნა, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, არ აბადია, ხოლო სხვა ნუსხა თუ ფრაგმენტი ჩვენი წიგნისა ჯერხნობით, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის უცნობია.

ენობრივი თვალსაზრისით ჩვენი ტექსტი აგრეთვე არქაულობის შემცველია. აქ, მაგ., გვხვდება „დაშდა“ და არა „დაშთა“, როგორც ეს ჩვეულებრივ სხვაგან ძველ ტექსტებში გვხვდება. სინტაქსიდანაც კიდევ თვალში საცემია შემდეგი წინადადება: „მიიყვანე შენ თანა ისსუ, ძს ნავსსი, კაცსა რომელსა აქუს სული და დაახნე“... აქ, როგორც ეს ბაქარის ბიბლიაშია, თითქოს კაცი უნდა ყოფილიყო, რომელმაც ამხსნელი სიტყვაა „ისსუ-სი“, მაგრამ რადგან მას მოსდევს განმსაზღვრელი დამოკიდებული წინადადება, იგი, ბრუნვის მიხედვით, უკვე ანგარიშს უწევს ამ წინადადების ზმნას და ამიტომ შეუთანხმებელია ასახსნელ სიტყვასთან (ისსუ ძს ნავსსი). როგორც ჩანს, ეს მოვლენა არქაულია¹, მას საბა არ ასწორებს, რაც დამახასიათებელია მისთვის, როგორც რედაქტორისათვის, რომელიც ძველი ტექსტების ენობრივ თავისებურებათ იცავს ხოლმე.

ლექსიკიდან, რომელიც აგრეთვე საკმაოდ არქაული ჩანს, აღსანიშნავია სიტყვა — „ბურობანი“: „მალნარნი ბურობანი“ (74,6). საბას ეს სიტყვა „ბორობანი“-ს სახით აქვს წარმოდგენილი ბიბლიაშიც და ლექსიკონშიც. აქ ეს სიტყვა განმარტებულია, როგორც „ხე კეთილჩრდილოანი და მაღალი“. სომხურში შესაბამისად „*հովանաւոր*“-ია (*գանտառու հովանաւոր*), რაც საბას განმარტების პირველ ნაწილს („კეთილჩრდილოანს“) კარგად უდგება. დღეს

¹ შდრ. აკად. ა. შანიძე, ძველი ქართული ენა (დამატება სახელმძღვანელოსი „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“), გვ. 311, § 64, 1939 წ. გამოცემა.

ეს სიტყვა ლიტერატურაში არ იხმარება. შეიძლება ის შესცვალა სიტყვა „დაბურულ-მა“, რომელიც ტყის მიმართ დღეს ითქმის ხოლმე („დაბურული ტყე“); შესაძლოა იმის წყალობითაც, რომ, უკანასკნელს „ბურობან-თან“ საზიარო აქვს ერთი ნაწილი: „ბუ რ(ული)“.

ძ ა რ ა ზ მ ე ბ ი

არამედ—ად	ისრაიტელისაჲ—იწლტელისაჲ	ღმერთმან—ღნ
დიდებაჲ—დბჲ	მრციქულთაცა—მრცქლთაცა	ღმრთისაჲ—ღძ
ვითარცა—ენა	მღდელისამან—მღდელისმწ	ღმრთისანი—ღრთისანი
ზედა—ზა	უფალი—ოი	ყოველთა—ყლთა
თავთგანი—თავთგწნი	უფალმან—ოწ	ყოველი—ყი
თქუა—თჭა	უფალსა—ოა	ყოველნი—ყლნი
ისრაელ—იწლ	უფლისაჲ—ოაჲ	ყოველისა—ყლისა
ისრაელისა—იწლისა	რამეთუ—რ	შენ—შწ
ისრაელისათა—იწლისათა	რომელ—რლ	შორის—შს
ისრაელისათაჲ—იწლისათაჲ	რომელთა—რლთა	ჩუენ—ჩწ
ისრაელისანი—იწლისანი	რომელმან—რწ	ჩუენისათა—ჩწისათა
ისრაელისგან—იწლისგწ	რომელსა—რლსა	ჩუენისაჲ—ჩწისაჲ
ისრაელისთაჲ—იწლისთაჲ	სულთამან—სლთამწ	წინაშე—წწ
ისრაელმან—იწლმწ	ღმერთი—ღი	ჰრქუა—ჰჭა.
ისრაელსა—იწლსა		

[რ ი ც ხ უ თ ა ე]

XXIV	შენნი, იაქობ, საყოფელნი შენნი ისრაელ!* ვითარცა ბაღნარნი ბურობანნი, და ვითარცა სამოთხენი მდინარეთა ზედა, და ვითარცა კარავნი, რომელ აღდგნა უფალმან და აჩა კაცმან, და ვითარცა ნაძენი წყლის კიდესა* გამოკდეს კაცი ნათესავისაგან მისისა, და ეუფლოს ნათესავთა მრავალთა, და აღმალდდეს გოგის მეუფებაჲ. და აღორძინდეს მეუფებაჲ მისი* ღმერთი უძლო და მას ეგვიპტით, ვითარცა დიდებაჲ მარტორქისაჲ მისი; შეჰკამნეს ნათესავნი მტერთა მისთანი, და სიპოხს მათი ტყნითურთ გამოწოოს, და ისრითა	9	მისითა ესროდის მტერთა* [ინაჲ იდაჲ] და განისუქნა ვითარცა ლო]- • მზან, და ვითარცა [ლეკუმან] ლომისამან. [ვინ აღად]- გინოს იგი მ[კურთხე]- ველნი შენნი [კურთხე]- ულ არიან, [და მწყევ]- არნი შენნი წყეულ არიან!]* და განრისხნა [გულის] წყრობით ბაღაკ ბალა]- ამის ზედა, და შეი[ტყუელნა] კელნი თვსნი, [და] [ჰრქუა] ბაღაკ ბა[ღაკს]: წყევად [მტერისა ჩემი]- სა მოგზადე [შენ, და] აჰა ესერა [კურთხევით] აკურთხე [ესე მესამედ]* აწ ივლტოდე ა[დგიდ შენ]- და, ვთქუე, გად[იდო შენ]; აწ კუებულ [გქმნა] შენ უფალმან დიდების[ა მის]- გან* და ჰრქუა [ბალაჲმ ბა]- ლაჲს: არა მოციქულთაცა შენ
6			
7		10	
8		11	
		12	

13 თა, რომელ მოჯელინ[ენ ჩემ]-
და, ვარ[ქუ] მა[თ] *
[მო-ლათუ-] მცეს ბალაკ
სახლი თვისი ვეც-
[ხლითა და ოქრ]ოფთა,
[ვერვე შე]უძლო გარ-
[დასლუად] სიტყუა-
[უფლისასა], ყოფად მიძა
[კეთილად] ანუ ბოროტ-
[ად თავით] ჩემით, არამედ
[რაგდენი] მრქუას მე
14 [ღმერთმან, ესე ეთქუა * და აწ
[ესე რა] წარვალ მე
[ადგიდ] ჩემდა, მოვედ
[და გახ]რახო შენ,
[რაჲ უყოს ერ]მან ამან
15 [ერსა მაგას] შენსა აღ-
[სასრულთა] დღეთა * და
[ალილო] იგავი თვისი და
[თქუა ბალაამ] ძე-
[მან ბეო]რისმან, თქუა
16 [კაცმა]ნ მან რომელ კეშმა-
[რიტად] ხედვიდა * ეს[ს]მო-
[დეს სიტ]ყუანი ღმრთისანი,
[და] მეცნიერ იყო მეც-
[ნიერო]ბასა მაღლისასა;
[და ხი]ლუჲა ღმრთისაჲ იხილა
17 ძილსა შინა, ზეხილულ
იყენეს თუაღნი მისნი *
უწუენო მას, და არა
აწ; ვმნატრო და არა
მანლობელად; გამობ-
რწყინდეს ვარსკუ-
ლავი იაკობისგან, და
აღდგეს კაცი ისრაელისა
გან, და მოსრნეს მთა-
ვარნი მოაბისანი, და
წარტყუენნეს ყოველნი
18 ძენი სპთისნი * და იყოს
ედომ სამკვდრებელ-
აზ, და იყოს სამკვდ-
რებელად ესავი მტერი
მისი, და ისრაელმან ყოს
19 ძლიერებით * და აღდგ-
ეს იაკობისგან, და წა-
რწყმიდოს განჩინე-
ბული ქალაქით * და იხ-
ილა ამაღსკი, და აღ-
ილო იგავი იგი თვისი და
20 თქუა: დასაბამი წარ-

მართთაჲ ამაღსკი,
და ნათესავი მათი,
წარწყმდეს * და იხილა
კინეელი, და ალილო იგ-
ავი თვისი და თქუა:
21 შტკიცე არს სამკვდრე-
ბელი შენი, და და-თუ-
სდვა კლდესა შინა
22 ბუდს შენი * დალა-
თუ იყოს ბეორისი
ბუდე ძმაკულები-
სა, ასურასტანელ-
თა წარგტყუენონ შენ *
23 და ალილო იგავი თვისი
და თქუა: ჰ, ჰ, ვინ ცხო-
მდეს, ოდენ დადვას
24 ესე ღმერთმან * და გამოკდეს
კელთაგან კიტციელ-
თაჲსა, და აჭირონ
ასურს; და აჭირობ-
დენ ებრაელთა და
იგინი ერთბამად წა-
25 რწყმდენ * და აღდგა
ბალაამ, წარვიდა, მი-
იქტა ადგიდ თვისა, და
XXV ბალაკ წარვიდა თვისა
1 -მე: და დაიბანაკა ისრაელმან
სანს, და შე[ი]გინა ერი
იგი სიძვად ასუ[ლთა]
2 თანა მოაბელთა *
და ხადეს მათ ნ[ა]გებთა]
ზედა კერბთა მათთა[სა, და]
კამა ერმან მან ნა[ზორე]-
3 ეთა მათთაჲ. და [თაყ]-
უანის სცეს კერ[ბთა]
მათთა * და შეეჩ[უენა]
4 ისრაელი ბელფეგორ[ს, და გან]-
რისხნა უფალი ისრაელსა [ზედა * და]
ჭრქუა უფალმან მოსეს: [მოიყ]-
ვანენ ყოველნი მთ[ა]ერანი]
გრისანი და გან[ა]ქიქენ]
იგინი უფლისა მი[ერ] წინაშე]
მზისა, და უკუ[ნ] იქცეს]
რისხვაჲ გულ[ის] წყრო[ქ]-
5 მისა უფლისაჲ ისრაელის[გან] *
და ჰრქუა მოსე ნათესავ[ე]-
თა ისრაელისათა: შ[ო]კალნ]
კაცად კაცადმან სახ[ა]
ლეული თვისი, რომელ [შე]რუე]-
ნებულ არს ბ[ელფეგო]-

6	რისა* და აჰა ესერა კა]- [ო ძეთა ისრაელი[სათაჲ], [მოვირდა], მიიყვანა ძმაჲ [თესი მადი]ანიტელისა წინაშე [მოსც]სა, და წინაშე [ყოველისა კ]რე- [ბულისა ძე]თა ისრაელისათაჲ- [სა, ხოლო იგ]ინი ტიროდეს წინაშე [კარ]თა კარყისა მის [ს]ა[წ]ა[მებელი]-	ძმ სალომისი, მთავარი სახლისაჲ ტომისა სუამ ონისი...
		XXVI
		41.
		ბენიამენისნი დასად- დასად მათა, აღზილ- ვისაგან მათისა :მ: და :კ: და :ქ:*
7	[სათა]* და იხილა ფინე- [გხ, ძე]მან ელვაზარისმან, [ძისა ა]ჭრონ მლდელისამან; [და აღდ]გა იგი შორის კრებულ- [სა, მოი]ლო ლაზუარი კელ-	42
8	[თა]* და შევი]და უკუანა [კა]ცისა მის ის[რაიტე]- [ლი]სა საცხობელ[სა კე]- [ცისა]სა, და დაგუ[რომნა] [ორ]ნივე იგი, კა[ცი იგი] . [ისრაიტელი] და დედაკაცი [იგი საშო]ათ მისით; და და- [სცხრა] გუემა[ჲ იგი]	43
		44
		45
9	[ძეთაგან] ისრაელისათაჲ* და [იყენეს მო]სრულნი გუე- [მასა] მას შინა ოკუ-	46
10	[დაოთხ] ათას* და ეტყო]- [და უფ]ალი მოსეს და] [ჭრჭუა* ფი]ნეებ ძემან ელვ- [აზარისმან, ძი]სა აჰ- რონ მლდელისამან, და- აცხრეო რისხვაჲ ჩემი ძეთაგან ისრაელისათა აღშურებასა შურისა ჩემისასა მათ შორის, და არა მოესპენ ძე- ნი ისრაელისანი შურსა შინა ჩემსა* ესერ არჭუ: აჰა ესერა შე მივესცემ მას აღთქუმასა მშვე- დობისასა* და იყოს მი- სა და ნათესავისა მისი- სა შემდგომად მისსა აღთქუმაჲ მლდელობი- საჲ საუკუნს, რამეთუ შუ- რი იძია ღმერთისა მისისაჲ, და ლხინება ყო ძეთა-	47
11		48
12		49
13		50
14		51
		52
		53
		54
		55
		56
		57
		58
		59
		60
		61
		62
		63
		64
		65
		66
		67
		68
		69
		70
		71
		72
		73
		74
		75
		76
		77
		78
		79
		80
		81
		82
		83
		84
		85
		86
		87
		88
		89
		90
		91
		92
		93
		94
		95
		96
		97
		98
		99
		100

58	გერსონ[ისი კაა]თ; [დასი] კაათისი მერა[რი, დასი] მერა[რისი]* ზეს და[ნნი] [ძეთა] ლევისთანი, დასი [ლობე]ნისი, დასი ქებრონი-	ადისნი, ძისა მაჭირის, 'ნი, დასისა მანასისი, ძეთა იოსეფისთა; და ესე არს სახელები მათი მაალა, და ნუა, და ეგლა, და მეღა, და თერსა* და დადგეს	
59	[და კაა]თ შვა ამრაბ* და [სახელი] ცოლისა მისისაჲ [იყო] იოაქაბელ, ასულ- [მან ლე]ვისმან, რომელმან უსბ- [ნა ესე]ნი ლევის გვკატ- [ეს ში]ნა, და უშუა ამა- [რამს] აპრონ და მოსტ	2	წინაშე მოსტსა და წინაშე ელე- ახარ მდღელისა და წინაშე მთავართასა, და წინაშე ყოვლისა კრებულისა კართა თანა კარვისა მის საწამებელისთა, და თქუეს*:
60	[და მა]რიამ, დაჲ მათი* და [ესხნეს] აპრონს ნადაბ	3	შამაჲ ჩუენი მოკუდა უდაბნოსა ზედა, და იგი არა თანა იყო კრებულსა მას აღ- დგარმულსა წინაშე უფლისა: შორის კრებულსა მას კორძისსა, რამეთუ ცოდვისკა- თვის მოკუდეს და
61	[და აბი]უთ, და ელეახარ, [და ითა]მარ* და მოკუდა [ნადაბ] და აბიუთ შეწ- [ირუას]ქა მას მათსა ცეც- [ხლისა] უცხოჲსასა წინაშე [უფლისა]. უდაბნოსა ზედა	4	ძე არა ესხნეს მას* ნუ აღიკაცებინ სა- ხელი მამისა ჩუენისაჲ დასისაგან მისისა, რამეთუ არა არს მისა ძე; გუეცით ჩუენ სამკვდ- რებელ[ი შორის ძმათა] მამისა ჩუენისა[თა]*
62	[ჯან მა]თისა ოცდასამ [ათას], ყოველი წული თთვთგან- [ი და მი]მართ, რამეთუ არა აღ- [იხილნეს] შორის[ძეთა ისრა]ელისა- [თა, რამეთუ არ]ქა ეცა მათ ნაწი- [ლი შორის] ძეთა [ისრა]ელისა[თა]*	5	და`მია[წი]თა მო[სე] სა[ზღე]- [ლი] იგი მათი [წინა]შე უფლისა[თა]*
63	და ესე არს აღხილვაჲ მო- სტსი და ელეახარ მღ- დელისაჲ, რომელთა აღიზ- ილნეს ძენი ისრაელისანი არაბოთს, შობაბს, იორ- დანესა ზედა იერიკოჲთ	6	და ეტყოდა [უფალი მოსეს და] ჰრქუა* მართლ იტყვან
64	კერძო* და ამათ შორის არა იყო კაცი აღხილუ- ლთა მათგანი მოსტსგან და აპრონისგან, რომელ აღ- იხილნეს ძენი ისრაელისანი უდაბნოსა სინასა*:	7	ასულნი [სალა]ადისი- ნი, ცემით [სცე] მათ და]- საპყრობელი სამკვდ- რებელისა[ჲ შორის ძმათა] მამისა მათისათა, და] მიესცე ნაწილი მამისა]
65	რამეთუ ჰრქუა უფალმან სიკუდი- ლით მოკუდენ უდა- ბნოსა ზედა, და არა დაშ- და მათგანი არცა	8	მათისა[ჲ მათ* და ძეთა] ისრაელისა[თა ეტყოდე, და არ ქუ ჭაკი ლა მოკუდეს და] ძმ [არა ესუას მას], მის[ცეთ სამკვდრებე]- ლი მისი ასულსა მისსა]*
XXVII	ფრთი, გარნა ქალებ ძმ იეფონნოსი, იოსუ ძმ ნაფსი*:	9	უკუეთუ არა ესუ-
1	და მოვიდეს ასულნი სალაადისნი, ძისა ოფერისნი. ძისა გალა-	10	ახ მას [ასული, მისცეთ] სამკვდრებელი მისი ძ]- მასა [მისსა* უკუე].

	თუ არა [ესხნეს მას]		[ნასა, რაჟამს მიკედებ]ოდა
	ძმა, მისცეთ მამის		კრებული იგი წმიდა
	ძმასა [მისსა*]		ყოფად ჩემდა, არა
11	[უკუეთუ არა ესუას] მას მა-		წმიდა მყავთ მე წყ-
	[მის ძმად], მისცეთ სამ-		ალსა მას ზედა წინაშე მთა-
	[კვდრებელი იგი] სახლე-		სა; ესე არს წყალი
	[ულსა მახ]ლობელ-		ცილობისად კადსიად,
	[სა მისსა], ნათესავი-	15	უდაბნოსა შინა
	[სა მისისაგან] მან	16	სინასა* და ჰრქუა მოსე
	[დაიმკვდრ]ოს მისი;		უფალსა:* იხილენ უფალმან
	[და იყოს ესე] ძეთა		ღმერთმან სულ-
	[ისრაელისათა] სამართ-		თამან და ყოველთა კო-
	[ალ საშუა]ლის, ვითარცა უ-	17	რციელთამან კაცი
	[ბრძანა] უფალმან მოსის*		კრებულსა ზედა ამას*
12	[და ჰრქუა მოსეს]: ალვედ		რომელ გამოვიდოდის
	[მთასა წი]ალსა ამას,		წინამძღურად მა-
	[მთასა ნაბავ]სა, და		თსა და რომელმან შეიყუა-
	[იხილე ქუეყანად იგი] ქანა-		რნეს იგინი, და რომელმან გა-
	[ანისად, რომელსა; მი]სცემ		მოიყვანეს იგინი,
	[შე ძეთა ისრაელისათა] და-	18	და არა იყოს კრებუ-
13	[პყრობად* იხილო] იგი და		ლი ესე უფლისად; ვითარცა ცხოვა-
	[შეესძინო ერსა შე]სა,		რი, რომელთა მათა არს მწყემს*
	[ვითარცა შეეძინა აპრ]ონ		და ეტყოდა უფალი მოსეს,
	[ძმად შენი ორს მთას]		და ჰრქუა: მოიყვანე შენ
14	[შინა* რამეთუ გარდა]პკ-		თანა იოსუ, ძმ ნაე-
	[ედით სიტყუა]სა ჩემ-		სი, კაცსა რომელსა აქუს
	[სა უდაბნოსა ზედა] სი-		მას სული და დაასხნე


XXIV 5,1 და საყოფელნი B, 2 შენნი abs. S. 6,2 მალნარნი] მთანი B; ბორობანნი S] მაგრი-
 ლობელნი B, 4 მდინარესა S. 6 აღდგან] აღმართნა B; და არა კაცმან abs. B. 8. წყალთა ზედა
 B. 7,1 გამოკედეს] გამოვიდეს B. 3 მისისა] თვისისა S; უფლებდეს B. 6 უფროს გუგის B; გუ-
 გის S. 7 და აღორძინდეს შეუფებად abs. B. 8,1 ღმერთმან გამოიყვანა იგინი ევკატისაგან B-
 4 მისისა B; შეშკამდეს თესლსა მტერთა მისთასა B. 7 ტვინითურთ abs. B. გამოსწოლოს B. 8 ის-
 რითა მისითა] საისრელითა B. 9,1 [ინაჲ იდგა]და] მიწოლით B. 2 განისუქნოს] B. 7 არიან]
 იყვნენ B. 8 არიან] იყენდა B. 10,1 [გულის]წყრომით abs. B. 2 ბალაკი B; ბალამის B-
 3 დაიტყუებდა] B. 4 თვისნი] მისნი B. 6 მტერთა ჩემთა B. 8 [ქალთა]წოდებ] abs. B. 9 აკურთ-
 ხენ იგინი კურთხევითა სამგზის B; აკურთხე+იგი S. 11,1 აწ+უკუ B. 2 ვთქუ ვითარმედ
 პატრე გეკმ შენ. ხოლო აწ დაგაკლო შენ უფალმან დიდებდა B. 12,2 ანუ არა მოციქულთადა
 მათ შენთა, რომელნი მოავლინენ ჩემდა ვეტყოდი და ვარქუ მათ B. 4 მათ + მეთქი S.
 13,1 უკუეთუ მომცეს მე ბალაკ სავეს სახლი მისი B. 2 თვისი+სავსე S. 4 ვერ კელმეწი-
 ფების გარდასლვად სიტყვსა უფლისასა მცირისა ანუ დიდისა ბორობისა თავით ჩემით, რაცა
 მრქუას მე ღმერთმან, იგიცა ვთქუა B. 14,1 და] ხოლო B. 2 მე abs. B. 4 გაზრახუ] გითხრა H.
 6. მაგას abs. B; აღსასრულთა] უკანასკნელთა B. აღსასრულთა დღეთა abs. S. 7 და abs. S.
 15,3 თქუა: იტყვს ბალამ, ძე ბეორისი, იტყვს კაცი ქეშმარიტი, რომელი ხედაეს B. 16,1 და
 ესმინ B. 3 და იცინ მეცნიერებდა მალლისაგან B. 5 იხილა საჩუენებელით ძილსა შინა, განც-
 ხადებულ ამობრწყინდეს] აღმოპკედეს B. 7 მოსრნეს] დასცნეს B. 9 წარმოსტყუნნეს B. 10 სვი-
 თისნი BS. 18,2 ედომი BS; სამკვდრებელად+მისსა B. 3 სამკვდრებელად] მკვდრობა B. 6 ძლიერ-
 რებით] ძალითა B. 19,4 ჭალაკთა] ქუეყანით S. 20,2 აღილო] იხილა S. 3 იგი abs. B. 6 ნათეს-
 ავი] თესლი B; მათი] მისი B. 21,1 კინაველი B,+იგი B. 3 თვისი] ესე S. 4 მტკიცე] ძლიერ B.

5. და-თუ-სდეა] უკეთუ დაიდგნე B. 6 შინა] ზედა B. 7 ბუდენი შენნი B. 22,1 დაღათუ იყოს] და უკეთუ იქმნე B. 2 ბეგრისი ბუდედ სივერაგისა ასურასტანელთავე წარგიყვანონ შენ B. 3 ძმაკულუბით S. 5 შენ+და იხილა ოვ B. 23,2 გ მ გ S; ვინმე ცხოვნდეს B. 3 ოდენ] ოდეს S რაჟამს B. 24 გამოკდეს] გამოვიდენ B. 2 ქეტიმელთასა და ბოროტს უყოფდენ ასურთა და ბოროტს უყოფდენ ებრაელთა B. 6 იგინი] იგავნი S. 25,2 და წარვიდა S; და შიიქა B. 4 წარვიდა ადგილად თვსა B.

XXV 1,1 და ისრაელი დაადგრა სატიანის და შეიგინა ერი იგი სიძვთა ასულთა მიმართ მოაწისთა B. 2 სანს]სატინს S. 2 და შეიგინა ერი იგი სიძვად abs. S. წაგებთა] ნახორეთთა B. 3 ნა]ხორე]ქეთა მათთაჲ] ნაკერპავი იგი მათი B. 3,1 შეენ]უნენა] მითქვა B. 3 უფალი+გულის-წყრომითა SB. 4,7 რისხვად+იგი B. 5,2 მოკალ B. 6,3 [მოვიდა]: და მოიყვანა B. 4 მანდიან. ტელისა B. მის abs. B; საწამებელთაჲსა S. 7,5 და მოილო B. 8,1 და შევიდა] შევიდა B. კეცისასა] პურისასა B. 4 განგუშირნა B. 5 კაცი იგი] კაცი B. 8,9 ისრაელისათაჲსა S. 9,2 მოს-რულნი] რომელნი მოისრინეს B. 4 ოცდახუთი ათასი B. 11,2 აპრონის B. 8 მოვსანე B. 12,1 არ-ქუ+მას B. 3' მას abs. B. 13,1 მისსა და ნათესავისა მისისასა B. 5 საუკუნოდ B. 14,3 წყლუ-ლისაჲ abs. S. 6 სალმონისა B.

XXVI 41,1 დას დასად მათდა B. 42,2 დას დასად მათდა B. 3 სუამ] სამეი B. 4 სუა-მისი] სამეისი B; ესე დასნი დანისა დასად მათდა B. 43,1 ყოველნი abs. B; სუამისნი] სამეი-სნი B. 5 და ოთხას abs. S. 44—47 მუხლად S-ს მოეკოებთა: «ძენი ასურისნი, დასად დასად მათა (დასი დასი მათი B) იამში (იამინ B), დასი იამინისი: იესუჲ, დასი იესუესი ბარია, დასი ბარიასი ქუბერი (ქორებ B), დასი ქუბერისი (ქორებისი B) მელქიელ. დასი მელქიე-ლისი* და სახელი ასულისი ასერისი სასარე (სარა B)* ესე დასნი ძეთა ასერისთანი აღზილ-ვისაგან მათისა ერვასის (ორმოც B) და სჲმ ათას და ოთხასა* (ეს ადგილი B-ში 26—29 მუხ-ლადაა წარმოდგენილი; სომხურში კი ის მისდევს მე-18 მუხლს). 48,1 ძენი ნეთალიმისნი დასად დასად მათა იასშლ; დასი იასშლი(სი) abs. S. 2 დას დასად მათდა B; 3 იასშლ] ასიელ B დასი ასიელისი: გოინი, დასი გოინისი B. 4 იგავნი, დასი იგავნისი S. 49,1 იესე S; იესერ B. 2 სელმ B. 50,3 ორბეოც ხუთი ათას და ოთხას B. 51,4 ოცდა ოცდაათ S. 53,1 ვანიყონ B. 2 სამკვდრებელისა რიცხვსაგებო სახელთასა B. 54,1 უმბავლესთათვს B. 3 სამკვდრებელი+და მცირეთათვს დააკინრო სამკვდრებელი მათი B. 5 მიეც B. 6 იგი abs. B. 55,2 განეყონ B. 5 და დაიპყდრონ B. 56,1 და წილით B. 2 განუყო B. 57,2 დას დასად მათდა გედსონ, დასი გედსო-ნისი B. 58,2 ძენი ლევისნი. B; დასი] და B; 4 მუსისი] მოლისი S. 59,2 მისისაჲ] ამრაპისა B] 3 ოკაბედლ BS; ასული ლევისი B. 4 უსხნა] უშენა B. 6 უშენა B; ამრამს BS. 61,1 და მო-კუდა] მოკუდა B. 3 ცეცხლისა+მის B. 62,1 აღზილვისაგებო B. 4 მიმართ] უხეშთაესი B. 64,4 რომელთა B. 65,1 რამეთუ] და ვინათგან B, და S; ჰრქუა+მათ S. 65,3 დაშთა BS. 6 და ისუ ძე ნავესი BS.

XXVII 1,5 მანასესისა B. 6 ძისა იოსებისთა B, ძეთა იოსებისთაჲ S. 2,4 მთავართა მისთა B. 3,7 რამეთუ+იგინი B; 9 ძე] ძენი BS. 4,1 სახელი] სახლი B; 3 დასისაგან მისისა-შორის კრებულსა მას B; 4 თ ძე მისა B; 5 გუეცი] მომეციო B; სამკვდრებელი] მემკვდრობა B; 7 ხუნისა B. 5,2 მათი abs. B; საპყრობელი B. 8,2 ჰრქუა S; 3 კაცი თუ B; 5 მისცეს BS. 9,2 მას abs. BS; მისცეს B. 10,3 ძმანი B; მისცეს B+სამკვდრო იგი B; მისცეთ იგი S. 11,1 მას abs. B; 2 მისცეს BS; 5 მისსა+და B; 7 მისი] იგი B; 10 საშკელისა B: 11 მო-სეს BS. 12,1 ჰრქუა+უფალმან B; 2 ამას] მას B; 3 მთასა abs. B. 13,2 შეეძინო B. 14,4 გარდა-ხდებოდა B; 7 მყავ B; 8 მთასა] მათსა B. 15,2 უფლისა მიმართ B. 16,1 იხილოს B; 2 კორც-თამან S; 3 თ კაცი ყოველსა ზედა კრებულსა ამას B. 17,2 წინამძღუარ B; 3 და abs. B; რო-მელმანცა შეიყუანნეს B; 4 იკინი abs. B; 5 მიიყვანნეს B; 7 ცხოვარნი, რომელთა არა არნ მწყემსი B; 8 მათა] არა S. 18,3 ისუ BS. 4 კაცი B; 5 მას] მის შორის B.



ქართული ძველი ხელნაწერი ბიბლიის ერთ-ერთი გვერდის ერთი სვეტი
(რიცხვთაჲ XXVI, 63—XXVII, 1).